



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030475028855019

№ 04-1042/ო

06 / ივნისი / 2019 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

- ა) მაძიებლის ანკეტა (დანართი N1);
- ბ) მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრსა და სადღეღამისო თავშესაფარში პირის ჩარიცხვა/ამორიცხვის შესახებ მისაღები გადაწყვეტილების ფორმა (დანართი N2);
- გ) მობილური ჯგუფის თვის ანგარიშის ფორმა (დანართი N3).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ სააგენტოს შემდეგი უფროსი სოციალური მუშაკები:

- ა) ირინე წერეთელი;
- ბ) სოფიო ბედოშვილი;
- გ) ნინო რეხვიაშვილი;
- დ) თამარ ბახტაძე (ქუთაისის მობილური ჯგუფი);
- ე) თეონა ბრეგვაძე (რუსთავის მობილური ჯგუფი).

3. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტის „დ“ პუნქტით განსაზღვრული უფროსი სოციალური მუშაკი ვალდებულია, უზრუნველყოს მაძიებლის ანკეტის, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრსა და სადღეღამისო თავშესაფარში პირის ჩარიცხვა/ამორიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა და მობილური ჯგუფის თვის ანგარიშის ფორმის ატვირთვა და გადაგზავნა მომდევნო თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით, სამუშაო დღეებში, ელექტრონული ფორმით, „დეს“-ის საშუალებით.

4. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტმა (ვ.გაბდელიანი) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება, ამ ბრძანებასა და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.

5. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე ბრძანების გაცნობა სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის და ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის;


ბ) ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ა“, „ბ“ და „გ“ ფორმების „დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემასთან“ შესაბამისობა.

6. დაევალოს დირექტორის აპარატს (ნ.ჩანადირი) წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 18 აპრილის N04-245/თ ბრძანება.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

თამაზ მოდებაძე

მაძიებლის ანკეტა					
1	კონტაქტის დამყარების თარიღი				შენიშვნა:
2	კონტაქტის დამყარების ადგილი	ქალაქი	რაიონი	ქუჩა	შენიშვნა:
3	აქვს თუ არა სარეგისტრაციო დოკუმენტაცია	<p>1. დიახ (მონიშნეთ)</p> <p>(ა) საქართველოს მოქალაქის დაბადების მოწმობა</p> <p>ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა</p> <p>გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გთხოვთ, დააზუსტოთ რომელის)</p> <p>დ) დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა</p> <p>2. არა (გადადით მე-6 პუნქტზე)</p> <p>3. სხვა</p>			შენიშვნა:
4	პირადი ნომერი				შენიშვნა:
5	ბავშვის სახელი და გვარი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მიხედვით				შენიშვნა:

დროებით საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის გაცემის საჭიროება

6	პირობითი სახელი და გვარი		შენიშვნა:
7	მეტსახელი		შენიშვნა:
8	სქესი		
9	ასაკი		შენიშვნა:
10	მიახლოებითი ასაკი		შენიშვნა:
11	დაბადების თარიღი	გთხოვთ, მიუთითოთ წყარო	შენიშვნა:
12	ეროვნება		შენიშვნა:
13	არსებობს ქუჩაში მოხვედრის რისკი	<p>ა) ძალადობის მსხვერპლი (მათ შორის შრომითი ექსპლოატაცია).</p> <p>ბ) მშობლები არ იმყოფებიან საქართველოში. ერთ-ერთი მშობელი იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ერთ მშობელთან ცხოვრება.</p> <p>გ) მშობლების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. მშობლების გარდაცვალება.</p> <p>დ) მძიმე სოციალური ფონი.</p> <p>ე) ერთ-ერთი დედამამიშვილი არის მიუსაფარ ბავშვად იდენტიფიცირებული.</p>	შენიშვნა:

		<p>ვ) დიდი ხნის განმავლობაში არ დადის სკოლაში. მშობლების არ ჩართულობა/ნაკლები ჩართულობა ბავშვის განათლების/რეაბილიტაციის პროცესში.</p> <p>ზ) ლოკაცია, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებს.</p> <p>თ) მშობლების მიერ საქმიანობის განხორციელება ქუჩაში ბავშვების თანხლებით.</p> <p>ი) მშობლების მხრიდან მეთვალყურეობის ნაკლებობა.</p> <p>კ) ოჯახში ცხოვრების და/ან მუშაობის წარსული გამოცდილება.</p> <p>ლ)საცხოვრებლის ცვლა/მიგრაცია.</p> <p>სხვა.</p>	
ა	ძალადობის, მათ შორის შრომითი ექსპლოატაციის მსხვერპლობა		
ბ	სკოლის ხშირი გაცდენა, საგანმანათლებლო სისტემაში ჩაურთველობა		
14	ადგილი/ადგილები, სადაც დღის უმეტეს ნაწილს ატარებს		შენიშვნა: (მიუთითეთ წყარო)
15	ადგილი/ადგილები სადაც ათევს ღამეს		შენიშვნა: (მიუთითეთ წყარო)

16	ქუჩაში მოხვედრის მიზეზები		შენიშვნა: (მიუთითეთ წყარო)
17	ქუჩაში ყოფნის სიხშირე	<ol style="list-style-type: none"> 1. ყოველდღიურად დღის და ღამის განმავლობაში 2. ყოველდღიურად მხოლოდ დღე 3. ყოველდღიურად მხოლოდ ღამე 4. ყოველდღიურად დღის გარკვეული მონაკვეთი 5. კვირაში რამდენჯერმე 6. სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ) 	შენიშვნა:
18	საქმიანობის ტიპი ქუჩაში:		შენიშვნა:
19	გარეგნული ნიშნები	(სიმაღლე, წონა, თვალის ფერი, დამახასიათებელი ნიშნები: მაგ, ნაიარევი, სვირინგი და სხვა)	შენიშვნა:
ჯანმრთელობის მდგომარეობა			
20	პირველი შთაბეჭდილება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ზოგადი მდგომარეობა, კანის მდგომარეობა, სხვა)		შენიშვნა:
21	აღენიშნება თუ არა ძალადობის ნიშნები	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა <p>გთხოვთ დააზუსტოთ</p>	შენიშვნა:
22	ქრონიკული ან მწვავე დაავადებები		შენიშვნა:

23	მოიხმარს თუ არა მავნე ნივთიერებებს	<ol style="list-style-type: none"> 1. არ მოიხმარს 2. ალკოჰოლი 3. სედატიური საშუალებები 4. წებო 5. თამბაქო 6. სხვა <p>გთხოვთ, დააზუსტოთ</p>	შენიშვნა:
24	ხომ არ არსებობს ჯანმრთელობის გადაუდებელი მდგომარეობა, რომელიც დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა <p>(დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ აღწეროთ მდგომარეობა და ჩამოაყალიბოთ რეაგირების სტრატეგია)</p>	შენიშვნა:
განათლება			
25	საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიარულის გამოცდილება	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (გთხოვთ დააზუსტოთ) 2. არა 	შენიშვნა:
26	წერა-კითხვა	<ol style="list-style-type: none"> 1. არ იცის 2. იცის კითხვა, მაგრამ ვერ წერს 3. იცის წერა-კითხვა ქართულ ენაზე 4. იცის წერა-კითხვა რუსულ ენაზე 5. იცის წერა-კითხვა სხვა ენაზე 6. სხვა 	შენიშვნა:
ინსტიტუციური გამოცდილება			
27	ჰქონია თუ არა რომელიმე სააღმზრდელო დაწესებულებაში ცხოვრების გამოცდილება?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (გთხოვთ დააკონკრეტოთ) 2. არა 	შენიშვნა:

28	არის თუ არა კანონთან კონფლიქტი?	1. დიახ 2. არა	შენიშვნა:
----	---------------------------------	-------------------	-----------

29. დამატებითი ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სოციალური მომსახურების სააგენტო

№ -----

-- / ----- / ----წ.

გადაწყვეტილება

(მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში დღის ცენტრში და/ან კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში არასრულწლოვანი _____ ჩარიცხვის/ამორიცხვის შესახებ)

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსმა სოციალურმა მუშაკმა, _____ წლის _____ N _____ ანკეტის საფუძველზე, განიხილა საქმე არასრულწლოვანი _____ ს (პირობითი მონაცემები: _____ /იდენტიფიცირებული მონაცემები: _____) მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში _____ ჩარიცხვის/ამორიცხვის შესახებ.

იგი მიუსაფარ ბავშვად იდენტიფიცირებულია _____ წლის _____ N _____ ანკეტით და მიზანშეწონილია მან ისარგებლოს _____ მომსახურებით.

ვიხელმძღვანელებ, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობების“ (დანართი №1) მე- მუხლის მე- პუნქტით და

გადავწყვიტე:

1. არასრულწლოვანი - _____ ჩარიცხოს/ამორიცხოს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედ _____ ჩარიცხვის/ამორიცხვის თარიღად განისაზღვროს _____.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრით სსიპ -სოციალური მომსახურების სააგენტოში (ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144), ან სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს

უფროსი სოციალური მუშაკი

/ _____ /

=

თვის თარიღი	მობ. ჯგუფის ლიდერი	შინაარსი		
		ახალი კონტაქტები ველზე		
		ჯამი: (ახალი კონტაქტების რაოდენობა)		
		ახალი ჩარიცხული ბენეფიციარები (გადაწყვეტილების თარიღისა და N მითითებით)		
		ჯამი: (კვირის მანძილზე ახალი ჩარიცხული ბენეფიციარების რაოდენობა)		
		ამორიცხული ბენეფიციარები (გადაწყვეტილების თარიღისა და N მითითებით)		

		რეგულარული ვიზიტები (ოჯახში, სკოლაში, ა.შ)		
		<p>ჯამი: (კვირის მანძილზე განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა)</p>		
		რეაგირება ცხელი ხაზის შეტყობინებებზე (თარიღების მითითებით)		
		<p>ჯამი: (კვირის მანძილზე ცხელ ხაზზე შემოსული ზარების რაოდენობა)</p>		
		სხვა ალტერნატიულ სერვისში გადაყვანა (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი)		

		დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი
		სხვა (დოკუმენტაციის მოწესრიგება, სკოლაში ჩარიცხვა ა.შ)